სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება 33

ქ. ოზურგეთი 11 მაისი 2023 წელი

1. **ხელშეკრულების დამდები მხარეები**

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:
ერთი მხრივ, შპს ,,სატისი"-ს დირექტორის ნუგზარ ჩხარტიშვილის სახით (შემდგომში-შემსყიდველი),
მისამართი: ქ.ოზურგეთი, გ.გიორგაძის ქ №07
საიდენტიფიკაციო კოდი: №437066201
სს ,,საქართველოს ბანკი"
კოდი: BAGAGE22
საბანკო რეკვიზიტები:GE81BG0000000161779444
ელ.ფოსტა:ltd.satisi@gmail.com

LTD Satisi
Digitally signed by LTD Satisi
Date: 2023.05.11 14:29:27 +04'00'

მეორეს მხრივ, ი/მ „ნოდარ კალანდარიშვილი" -(შემდგომში-მიმწოდებელი),
მის.: ქ. ოზურგეთი, გურიის ქ. 35
ს/კ: 33001007426
ს/ს „საქართველოს ბანკი"
კოდი: BAGAGE22
ა/ნ: GE38BG0000000922241400
ელ.ფოსტა: nodari.nodari.81@mail.ru
ტელ: 557565564

Nodar Kalandarishvili
Digitally signed by Nodar Kalandarishvili
Date: 2023.05.12 10:33:59 +04'00'

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული,როგორც,,მხარე", ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც ,,მხარეები", საქართველოს, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს" ქვეპუნქტის შესაბამისად,გამარტივებული შესყიდვის შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. **ხელშეკრულების საგანი**

ხელშეკრულების (კლასიფიკატორის კოდი: 39200000 - ავეჯის აქსესუარები; 39500000 - ქსოვილის ნივთები; 42600000 - ჩარხები; 44200000 - სტრუქტურული მასალები; CPV 44300000 - კაბელები, მავთულები და მათთან დაკავშირებული მასალები; CPV 44500000 - ხელსაწყოები, საკეტები, გასაღებები, ანჯამები, დამჭერები, ჭაჯვები და ზამბარები/რესორები; 44800000 - საღებავები, ლაქები და მასტიკები.

). წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3. შესყიდვის ობიექტი

3.1. შესყიდვის ობიექტია;
CPV 39200000 - ავეჯის აქსესუარები 20 ლარი; CPV 39500000 - ქსოვილის ნივთები 2 ლარი; CPV 42600000 - ჩარხები 420 ლარი; CPV 44200000 - სტრუქტურული მასალები 1350,00 ლარი; CPV 44300000 - კაბელები, მავთულები და მათთან დაკავშირებული მასალები 2884,80 ლარი; CPV 44500000 - ხელსაწყოები, საკეტები, გასაღებები, ანჯამები, დამჭერები, ჭაჯვები და ზამბარები/რესორები 122,00 ლარი; CPV 44800000 - საღებავები, ლაქები და მასტიკები 104,00 ლარი.

N	საქონლის დასახელება	შესყიდვის კოდი	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)

1	ლითონის ბოძი 60მმ	44212225	მ	108	12,5	1 350,00
2	ლითონის კუთხოვანა 40/40	44316500	მ	80	11,5	920,00
3	კბილიანი მავთული	44312300	მ	2	110	220,00
4	კატანკა 12იანი	44333000	მ	12	4	48,00
5	კატანკა 10იანი	44333000	მ	15	3	45,00
6	ელ შედუღების აპარატი	42662100	ცალი	1	420	420,00
7	ბარგალკის ქვა 230	44512100	ცალი	10	3,5	35,00
8	ელექტროდი 3მმ	44313200	ცალი	2	30	60,00
9	თოკი 100მტ	39541110	მ	1	2	2,00
10	საღებავი 2.5კგ	44812200	ცალი	2	30	60,00
11	საღებავის გამხსნელი 0.5ლ	44812200	ცალი	3	3,5	10,50
12	საჭიმი მავთული	44333000	კგ	3,8	5	19,00
13	ვიაზანი მავთული	44333000	კგ	1	5	5,00
14	პეტლი	44530000	ცალი	5	15	75,00
15	ბოქლომი	44521210	ცალი	2	6	12,00
16	საღებავი ფუნჯი	39224210	ცალი	4	4	16,00
17	სეტკა მავთული 2.5იანი 5იანი თვალით	44313100	ცალი	3	145	435,00
18	საღებავი 2.5კგ	44812200	ცალი	1	30	30,00
19	გამხსნელი 0.5	44812200	ცალი	1	3,5	3,50
20	კატოკი	39224210	ცალი	1	4	4,00
21	კიბის საფეხური	44316500	ცალი	48	23,6	1 132,80
	ს უ ლ					4 902,80

4902,80 ლარი

3.1 სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 4902,80 (ოთხი ათას ცხრაას ორი და 80 თეთრი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებსა და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები , ადგილი და პირობები.

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 15 მაისის ჩათვლით.
6.2. მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მისამართზე: ქ. ოზურგეთი, გურიის ქ. 35.
6.3.შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან სხვა)

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი.

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
6.2 შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს შპს ,,სატისის" საწყობის სპეციალისტი ივანე მექვაბიშვილი.

7. ანგარიშსწორების ფორმა

7.1 მიმწოდებელთან ანგარშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტით.
7.2 ანგარისწორება განხორციელდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით.
7.3 ანგარიშსწორებამხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით,წარმოდგენილი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.
7.4 შესყიდვის ობიექტის ღირებულება ანაზღაურება განხორციელდება, ხელშეკრულების შესაბამის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენიდან 10(ათი) სამუშაო დროს ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობა

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
-შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
8.2 შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
8.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
9.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში , დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02% ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

10.1 ერთი მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება;
10.2 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 5 (ხუთი) დღით ადრე მაინც. ამასთან, უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი;
10.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ თავისუფლება მხარეებს ვალდებულებების შესრულეისგან;
10.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ
ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);
ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (მიუხედევად მისი დაწყების დროისა);
გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა;
დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;
ე) შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები დაირღვა 15 დღეზე მეტი დროით.
10.5 ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს ასევე მხარეთა შეთანხმებით.
10.6 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში დამრღვევი მხარე დაჯარიმდება ხელშეკრულების მთილიანი ღირებულების 10% ს ოდენობით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაო კოდექსის 398 -ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორსმაჟორი

13.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ;
13.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა 3 თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.
13.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს;

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
14.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავნე სასამრთლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

14. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
15.2 ხელშეკრულება შედგენი;ლია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან; ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებულ უნდა იქნეს ქართულ ენაზე;
15.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
15.4 შემსყიდველის მხრიდან ხელისმომწერი პირ(ებ)ი ადასტურებენ რომ მიმწოდებელთან არ იმყოფება ინტერესთა კონფლიქტში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 ხელშეკრულება ძალაში შედის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 15 ივნისსი ჩათვლით.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

2023 წლის 11 მაისი

ვადასტურებთ, რომ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, შპს,,სატისი“ საჭიროებისთვის - ავეჯის აქსესუარები; - ქსოვილის ნივთები; - ჩარხები; - სტრუქტურული მასალები; - კაბელები, მავთულები და მათთან დაკავშირებული მასალები; - ხელსაწყოები, საკეტები, გასაღებები, ანჯამები, დამჭერები, ჭაჯვები და ზამბარები/რესორები; - საღებავები, ლაქები და მასტიკები- შესყიდვასთან დაკავშრირებით გაფორმებულ ხელშეკრულებაში ი/მ ნოდარ კალანდარიშვილთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

შპს,,სატისი“-ს დირექტორი :

ნუგზარ ჩხარტიშვილი